

26278

54902



გ. გ. გ.

შაბათი, 6 ოქტომბერი, 1907 წ.

ფასი 10 კაპეიკი

№ 1


ყოველკვირეული ყურნალი

1907 წ.

„ეკალი“-ს მეორე ნომრიდან დაიწყება
 გვლვა მღაბიოთ დაწერილი წერილების:
 სახალხო პოლიტიკური ეკონომია“—ბ. ჭა-
 არასი.

აგენციების საყურადღებოთ

„ეკალის“ რედაქცია თხოვს ყველა აგენ-
 ტებს, ანგარიშები ყოველ ნომრის შემდეგ
 გაასწორონ და დარჩენილი ნომრები უკან-
 ვე დაუბრუნონ რედაქციას. აგენტებს შურ-
 ნალი დაეთმობათ 7 კაპეიკათ. ფული უნდა
 დაგზავნებოდეს შემდეგი ადრესით: *Тифლისь,*
типография „Надежда“ Платону Гедеван-
овичу Гачечиладзе.



ადსარებაში

საქართველოს
 კავშირების
 გენერალური
 ბიბლიოთეკა

„მკალი“-ს აღსარება

— იიმე, ბატონო, გამოსულა, მარა რა გამო-სულა!.. გამოსულა რაცხა ჩახატულ-ჩაკირკანტებუ-ლი ახალი ვაზეთი!.. სხვას კი არ ვავს, ბატო-ნო, რაცხა უცნაურია სწორეთ!.. სულ ეკლებით არის შეხლართულ-შემოხლართული ისე, რომ უც-ბათ ხელი რო მოავლო, სულ დაგვჩხლეტს, შენ ნუ მოუკვებები ჩემ თავს!.. ამბობს იმერელი პირველ ჩემ შეხვედრაზე.

— რავა აბდალასავით ჩივი, ძამიავ!.. მიახლის გურული, — მაგი საჩხვლეტელა კი არა, ჟურნალია ჩინებული. მართალია იჩხვლიტება, მარა ჩვენისთა-ნებს კი არ ჩხვლეტს. მეც ქე ვფიქრობდი, რომ რაცხა კიდევ უნდა გამოვიდეს ახალი ჟურნალი-მე-თქი და ავია, ქე გამოსულა. აი ჩვენი ღუნისა „ნი-შადური“ ძალიან ვალა გამოდგა და „ეშმაკის მა-თრახი“ ხომ ყველას ვერ მიწვდება მარტოტკალაი. ახლა ერთი მათრახებს უტახუნებს ჩვენს მტრებს, მე-ორე მწვავეთ უჩხვლეტს და გამაწარებს იმ საზიზ-ღრებსა და გადათრეულებს.

— ჭი, ქვე შენი ჭირიმე, როგორ ბზესავით გამოუშვს ეს რალაცა ვაზეთებია!.. ამბობს რაჭ-ველი. — კარგია ჭი მაინც ჩვენი ბიჭუნებისთვის: გა-დასაზიდი ჭი ბლომათ მიემატებათ. მოგახსენებენ ჭი, პოლიციაში ეზიდებიან ამ ქალოოდების საპა-ნეებსაო; ქვე რალა უნდათ მეტი ჩვენ ბიჭუნებს ჭი.

ასე სჯიან და ბაასობენ ჩვენზე სხვები და მით უხერხულ მდგომარეობაშიაც გვაყენებენ. იტყვი რამეს, — ვაი თქმას, არ იტყვი და ვაი უთქმელო-ბას!.. რა ვაეწყობა, უნდა ვთქვათ და რაც იქნება, მადლი უფალს!

ფუ, ჩემ ვარსკლავს და დაბადების დღეს!.. უსიცოცხლოთ ბჟუტვას, ბარემ სიკვდილი ჯობია... მარა არა, სიკვდილი ხომ არარაობაა, სიცოცხლე კი რამეს მაინც ნიშნავს. მართალია, შოთას უთქვამს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელო-ვანიო“, მარა ყველა სიკვდილი ხომ სახელოვანი არაა. ჯერ-ჯერობით ჩვენც ვიცოცხლოთ, ვთქვათ აქეთური, იქითური, ვადაკრული, ვადმოკრული და ამით დროებით თავი შევიქციოთ.

დღეს რეაქცია ქვეყანას აქცევს, რებრესია სულს ახდენს, მარა ისიც კი გვინახავს, რომ ამის-თანა რეაქცია დაიხზო და დაიქცა და რებრესიაც თან გადაყვა. დიახ, გვინახავს და კიდევ ვნახავთ ამი-სთანა რამეებს!.. და ამის მოლოდინში ჩვენ თვა-

ლი გადავავლოთ თანამედროვე საზოგადოებას და მის წესწყობილებას.

ყვეელას რომ ერთი თავი ებას ჩვენში, რო-გორც ეს სურთ ჩვენს „მოღვაწეებს“, რა იქნება მაშინ? რა და მიეპარება ერთი ვინმე ქვეყნის მტე-რი, რომელსაც შეშურს ჩვენი „ბურჯების“ საქმი-ანობა, და ერთი შემოკვრით წააძრობს ზედ თავის ნახაპურს. ეს ხომ დიდი უზედურობა იქნება მთელი კაცობრიობის წარმატებისათვის!.. ამისთვისაც არის, რომ ბუნებას თვითოეული პირისათვის თავისი სა-კუთარი თავი გამოუბამს და შიგ საკუთარი აზრიც ჩაუდგია. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ ამ-დენხანს ჩვენი ნატამალიც არ იქნებოდა ქვეყანაზე. ვინ იანგარიშებს, ამ ჩვენს დროში თუ რამდენ თავს აშორებენ კისერს მუდამ დღე, ყოველ საათ-ში, მარა ხალხი მაინც ჭიანჭველასავით ირევა.

ასე, ხალხი ქვეყანაზე ულეველია და მისი ძა-ლაც საბოლოოთ უძღვევლია.

ჰო, ხალხი ბევრია, მარა ჭრელია. ზოგს სიმ-დიდრე და სიამოვნება ამძიმებს, ზოგისთვის კი ლუკ-მა პურის შოვნაც ძნელია. ერთი მუშაობს, ოფ-ლსა ღვრის, სიმდიდრეს ქმნის, მეორე კი არხეი-ნათ ზის და სხვის ნაოფლარს ჯიბეში იჩხრიალებს. მუშა მუდამ მშვიერ-ტიტველია, ხოლო უმუშევარი კი უზომოთ მაძლარი და კობტათ გამოწყობილია. ასეთია სინამდვილე, ეს არის ცხოვრების უკუღმარ-თობა, მარა იმავე დროს ამ უკუღმართობაში სა-მერმისო წაღმართობაც არის ჩასახული.

მდიდარი გაბატონდა, დაიმონა მუშა და მას აქეთ ქვეყანაზე ერთობა, თანასწორობა მოისპო და ჩაიფუშა.

ბატონს ბატონი მიემხრო, მუშას მუშა მიე-კელა და ვაჩაღდა მათ შორის სამკედრო-სასი-ცოცხლო ბრძოლა. დაირაზმა ერთი მხრით მჩაგ-ვრელთა ჯარი, ხოლო მეორეთი ჩაგრულთა და დატანჯულთა. მემამულე, ფეოდალი, ბიუროკრა-ტი, პლუტოკრატი, ბურჟუა, მღვდელი და ბერი — წამოიჭიმენ ცხოვრებაში და შეესიენ პირველ ხანათ ერთმანეთს.

იყო დრო, როცა მამული შეადგენდა სიმდიდრის საზომსა და საფუძველს და მაშინ მემამულე-ფეოდა-ლი იყო ქვეყნის პატრონიცა და ბატონიც. დადგა დრო, მიწამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მისი ადგილი ფულმა, კაპიტალმა დაიჭირა და ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეც ფულიანი კაცის — ბურ-ჟუა-კაპიტალისტის ხელში გადავიდა. ბურჟუა შეე-

ოლა ფეოდალს და ხალხის, მასის შემწეობით მხო მისი ტახტი, რომელზედაც შემდეგ თვინ წამოსკუბდა და უტიფრათ დაიწყო ბატონობა. ე რა გამოვიდა აქედან? ხალხს ერთი ბატონის აერ მეორე მოველინა და მიინც ბატონობა გაონდა!..

გავიდა დრო, მუშა გონს მოვიდა, განვითარდა შეიგნო თავისი მდგომარეობა. მან დაისახა ის საბოლოო მიზნათ ბატონობის ერთიანათ გდება, მისი ხსენების მოსპობა და საზოგადო ნიერების, ერთობისა და თანაწროობის დამება ქვეყანაზე. გაჩაღდა მედგარი ბრძოლა ამის მოსახლოვებლათ. ეს არის ბრძოლა სოლიზმისათვის; მას აწარმოებს დევ-გმიჩი პროტარიტი, რომელსაც მხარში უდგია მის შეხელობაზე გადმოსული გაყვლეფილი, შეგნებული ხ-კაცობაც.

აი, ასეთი ბრძოლა წარმოებს ჩვენში დღეს ლსა და ახალ რეჟიმს შორის. ხულიგანი უნდა აღამიანი, რომ გამარჯვება არ უსურვოს ამ ებულ მოძრაობას. მარა გამარჯვება მაშინ არის ილი, როცა ხალხი, მასა გაცნობიერებული და ებულია. ჩვენში კი, სამწუხაროთ, ეს ასე არ და განმათავისუფლებელი მოძრაობაც მიტომ დიკობს.

მასის გრძნობა-გონების გააშუქებელი უძლიე-ი საშვალებათაგანი არის ჟურნალ-გაზეთები. ჩვენ ვხედავთ, რომ რეაქციამ დღეს ხელი ებია ხალხს სერიოზულ ბროშურებისა და ჟურ-გაზეთების კითხვაზე. მასა დღეს ან სულ არას კითხულობს, ან და კითხულობს სუბუქ მასს, სამასხრო-სახუმაროს, რაც გრძნობებს აღელ-ატოკებს, ხოლო გონებას კი არაფერს ებს.

ჩვენ განვიძრახეთ ეს ნაკლი შევამსოთ, რამ-თაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ძალ-ღონისა ბრსებული გარემოების მიხედვით.

ცხოვრებაში სატირალი და საცინარი, სუბუქი სერიოზული ერთმანეთში არეულ-დარეული და ხლართულ-გადმოხლართულია. ჩვენც კვალ-ვალ უნდა მივყვეთ ცხოვრებას, ამოვალავოთ დან სატირალ-საცინარი, იუმორისტულ-სერიო-რი ამბები, შევაზაგ-შევაკავშიროთ გასაგებათ და მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს.

ჩვენ ვეცთებით, რომ ფანტაზიორობას, ოც-ობას და უტოპიას ფრთები შევაკვეცოთ, რად-

გან ამათი მოტრფიალენი უჩვენოთაც ბლომათ მოიპოვებინ ჩვენში.

ჩვენ ავგაროზათ ვატარებთ მგონის სიტყვებს, რომელიც ასე ამბობს:

„ეს გული, სწკედ ქცეული,
ბუნების ნათავსედას;
მსხლად მის სსხეს გიჩვენებს,
რასაც შიგ ჩაუხედას“.

ჩვენ ვეცთებით მოქორილსა და პირადულ ამ-ბებს, რამდენათაც ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებუ-ლი, გვერდი ავუქციოთ და საქვეყნოთ გამოვიტა-ნოთ ის, რასაც ასე თუ ისე საზოგადო მნიშვნელო-ბა და ხასიათი აქვს. ასე რომ, მგონის თქმისა არ იყოს, აქაც

„ენაც მას ამბობს, რაც სმენს
სხვისაგან გაუგონას,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუხამ-აუწინას“.

წინდაწინვე ვიცით, რომ ჩვენი ნათქვამი

„ზოგს ეტკებილება, ზოგს ანა,
მანა რა ჩვენი ბნადას:
ბუღბუღი ვარდს და ეკალზე
თანსწორათ მომდედადა“...

* *

რაცხას გეტყვი იმისთანას,
მე რამ ვიცი, შენ კი არა,
ოჭ, ნეტავი მარტო-მარტო
სადმე მე ის გადამუარას!..

მე რამ ვიციანბ, იმისთანას
შენ არ იციანბ ერთსაც არა,
ერთი რამე გაუამუდავან?
სასაცილოთ ისიც კმანას...

უფრსისა, „ნახაღნიკი“,
ვინც გურია გამწარას,
შანტაჟისტთა ამხანაგი,
მათი ტიკა და ტამანას.

ეს ის არის, შენ თუ იციანბ,
ნახები რამ მოიპანას,
თვითონ გაძვრას რსტატურათ,
მედა-კუდა, მეტიანას!..

ამხანაგებს უდადატა,
არ დაინდა ერთიც არა,
ნაქურდადიც წაგლიჯა
და ციხეშიც კი ჩაყარას!..

მისი კუდის რიკი არის
 ნაკაკა, ეს მასხარა,
 ვგონებ, ადრე გაბუნძულდენ
 გურიიდან თრავ ჩქარა...

ოლრასინი.

ახალი ამბავი

როგორც გადმოგვცეს, თფილისელ ჯიბგი-
 რებს შეუდგენიათ პროფესიონალური კავშირი და
 წესდებას ამ დღეებში წარადგენენ დასამტკიცებ-
 ლათ,—სადაც ჯერ არს.

ყორღანისეულ კონკის ცხენებს თფილისის
 ქალაქის სამმართველოში წარუდგენიათ პეტიცია,
 სადაც უჩივიან ტრამვაის საზოგადოებას. ითხოვენ
 ამ საზოგადოების დაჯარიმებას, რადგანაც შიმში-
 ლით ფეხებს ძლივს ალასლასებენ და დილიდან
 შევალამემდე წაღმა უკულმა დარბიან.

სოფ. წირქვალიდან (შორაპნის მაზრა) გვატყ-
 ყობინებენ, რომ იქაურ სულიერ მამას გლეხები
 ძალიან მოუმაღლიერებია, რადგანაც მეფეს ჯვა-
 რის წერის დროს (თუ იგი გარეთ გამოვიდა, თუნ-
 და აუცილებელ საქროებისათვის), სამ-სამ მანე-
 თით აჯარიმებს, გარდა იმისა, რასაც ჯვარის წე-
 რის დროს ბუტბუტში აიღებს.

„გოლოს კავკასას“ რედაქტორს მუშის სიტყ-
 ყვიერათ შეურაცხყოფისათვის და სილის გარტყმი-
 სათვის ხუთი წლით ვიატკის გუბერნიაში ასახლე-
 ბენ, ხოლო სპ. ლოსაბერიძეს სამი წლით ჯრუჭის
 მონასტერში გზავნიან სალოცავათ.

დღეს, 6 ოკტომბერს, საღამოს 8 საათზე, მა-
 დათოვის კუნძულზე მიშას ტრახტირში დანიშნუ-
 ლია „საქეიფო საღამო“. მოწვეულია მრავალი
 არღნები. შემდეგ ჯიბგირების გუნდი იმღერებს
 ევროპიულ სიმღერებს. იმედია, საზოგადოება ბლო-
 მათ დაესწრობა, რადგან „საქეიფო საღამო“ ჯიბ-
 გირების სასარგებლოთ არის დანიშნული. დამსწ-
 რენი უბილეთოთ შედიან, თუ კი ჯიბებში ექნე-
 ბათ ფულები.

თელავიდან გვატყობინებენ, რომ იქ სამოქალაქო
 სასწავლებელში უარყვეს ქართული ენა და
 სასულიეროში იგი ფრანგულზე შეცვალეს, ხოლო
 „ზავედენიაში“ გაათაროვეს, რისთვისაც რუს მას-
 წავლებელს იწვევენ ქართულ ენის რუსულ ენაზე
 სასწავლებლათ.

იქიდანვე გვწერენ, რომ ამ ცოტა ხანში პ.
 დაგოგთა და გძელ-კაბიანთა ერთ-ერთ წრეში ბა.
 ქო-ნარდის დოლი გაიმართება; ვინც გამარჯვებუ-
 ლი გამოვა,—ნადიკვარზე მაქრით აქეიფებენ.

ეს არის, ესლა დამთავრდა ცნობილ თელ-
 ველთა—ვანო, კოტე და ტერტერას ზღაპარი
 სების შესახებ, რომელიც ამ ცოტა ხანში დაიბე-
 დება „მეკლის“ მახლობელ ნომერში.

როგორც ვავიგეთ, თელავის პოლიციას
 მოუცხადებია მცხოვრებლებისათვის რომ კაკა-
 ტიანებს ქუდები მოუხადონ, ვინაიდან მათი პრ-
 ტიკი თელავში საგრძნობელათ დაცემულია.

ძირულიდან გვატყობინებენ, რომ იქ და-
 სებულა ახალი პარტია. პარტიის მიზანია ძირულ-
 ში არ შემოუშვან ცილინდრიანი კაცები, რად-
 ძალიან საშიში არიანო. ამ მიზნის განხორცი-
 ლებას ადგილობრივი სტრაჟნიკები შეუდგენ, მა-
 რამ ზედამხედველია საქირო, ამისგან 15 თქ-
 მბრისთვის დანიშნულია ამ პარტიის კრება ლიდ-
 რის ამოსაჩივრათ. როგორც ხმა დადის, ლიდერ-
 ამოირჩევენ სოციალისტების მოყვარე ნიორას
 როგორც მეტის-მეტათ გამოკთილს და დახელ-
 ნებულს კაცებზე ნადირობაში.

ზესტაფონიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ
 ვაჭრები აჯანყებულან სავაჭრო ამხანაგობა „იმე-
 თის“ წინააღმდეგ. მოითხოვენ ამხანაგობის გან-
 გურებას. აჯანყებულებსა და ჯარს შორის შე-
 კება მოხთა. დაჭრილთა და დახოცილთა რიც-
 ბევრია. მოელიან მაშველ ჯარს.

სოფ. ხალიფოურში (შორაპნის მაზრა) გ-
 რნიის მარშალს თ-დ. სვიმონ წერეთელს „ო-
 ნოე პოლოკენიე“ გამოუცხადებია თავის საბა-
 ხო ადგილებში. ვისაც მოასწრებენ, გინდ ქა-
 იყოს, გინდ გოჭი, მაშინვე ახრჩობენ.

კვირიდან-კვირამდე

გონება. ი. ჭავჭავაძის ტირისუფლები. თავდგირიძის ფილოსოფია. არჩევნები: თფილისში, ქუთაისში, ფოთში და ოსურგეთში.

მოდრი ერთი, ვაფხვისენო ძველი ხელობა, მარამ მიკვირებო: ძველისა და დახვეწებულის მოტრიალე ყოფილაო. მერე კიჲნის ვის ეშინია ახლა? იჲნის კი არა, ვინტოვკების ტყაცა-ტკუცს, პუმიოტების თქაფა-თქუფს, ზარბაზნების გრგვინას და ყუმბარების გრიალს ისე შევაჩვიე ყურები, ენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ხელთოფელას ხმათ მაჩნია—მეტათ არაფრათ. ის კი არა, თვითონ ე რომ დამადგან კი გვარიანი მოზღილი ზარბაზნი კაკალ გულზე და გამომიბგიალონ, მგონია, გელსაც ვერ დამაკანკურებიებენ. ამას ისე ვამობ ნამეტანი გულადლობით, თვარა, ჩვენს შორის არჩეს და, ზარბაზანს მართლა კი დელიყანდი უნდა, რომ გაუძლოს!.. სხვა თუ ვერაფერი მაწყინა, ციკობაში კი მომშლის მაინც და ესეც კმარა.

ჰო, იმას მოგანსენებდით, ძველ ხელობას გაჩხისენებ-მეთქი. თვალწინ მიდგას სულგაბრწყინებული „კვალი“. პირველათ იქ დავიწყეთ ამისთანა „კვირიდან-კვირამდე“ს ბეჭდვა. მაშინ ქვესწონდათ მკითხველებს და ახლა, ვინ იცის, ქაშნიკებათ თუ არა. მართალია, ახლა სულ სხვა ბრძოლა, სხვა საზოგადოებაა, სხვა კითხვებია გადასატრელი, მარა მეც ხომ ის აღარ ვარ, რაც მაშინ ვიყავი. ზოგიერთი უბედური მწერალი ცხოვრებას უკან რჩება და დროს განმავლობაში მაჩანდალათ ხდება. მე ჩამოვრჩი კი არა, წინაც კი წავუწარი ცხოვრებას... და ამისთანა მოწინავე კაცის წაწერებს ვინ დაიწუნებს, ღმერთო კი მოშკალი!.. და თუ დაიწუნებენ,—ანასინი მათ საქმეს!..

მარტო ამ კვირის ამბები ახლა კი არ მეყოფა; წინა კვირებშიაც ბევრი რამ მოხთა საყურადღებო და ანგარიშის გასაწევი, რაზედაც ჩვენ არა გვითქვამს რა. ახლა კი ზოგიერთი ამბავი იქიდანაც უნდა ამოვიღოთ.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლევლობამ ყველა შეაშფოთა და ააღელვა. ეს ასეც უნდა მომხთარყო. უბრალო მამაკვდავის მოკვლაც სამწუხარო და სავალალოა და რაი მერე, რომ ილიას ტრაგიკულ სიკვდილს დიდი მწუხარება და აღშფოთება გამოეწვია ჩვენს საზოგადოებაში.

ილია იყო სახელოვანი მგოსანი და ჩინებული

ბელეტრისტი. როგორც საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს, მართალია, მას ფართე ასპარეზი არ ქონებია, ვიწრო ფარგალში ტრიალებდა, მარა მის დროს და მის მდგომარეობაში ეს ასეც უნდა ყოფილიყო თითქმის. ახალ ცხოვრებაზე, ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე განსვენებული, მართალია, ჩამორჩენილი იყო, მარა სამაგიეროთ მას ვერაფერ წაართმევს იმ ისტორიულ როლს, რასაც ის ეწეოდა წასული საუკუნის მე-60 წლებიდან ვიდრე მე-90 წლამდის.

აქედან ცხადია, რომ ილიას სიკვდილით საქართველო არ მომკვდარა, როგორც ამას გაჰკიოდენ „ისარის“ და „ნიშადურის“ ფურცლებზე და თვით გამსვენებულის ცხედარსაც დაჯლოდენ ზოგიერთი ორატორები.

ვაი მათი ბრალი, ვისაც საქართველო და ქართველობა ისე წარმოუდგენია, რომ ერთი კაცის, ვინც უნდა იყოს ის, სიკვდილს უნდა გადაყვეს!.. საბრალოა ასეთი ხალხი, ვისაც მეტი გაგება არ აქვს ცხოვრებისა და ისტორიის მსვლელობის. რაღა ეშველებოდა საბრალო საქართველოს, რომ მართლა ასეთი უბადრუკი ხალხის საქირისუფლო იყოს ის!..

ახლა იმას არ იკითხავთ, თუ ვის დააბრალეს ამ ვაებატონებმა ილიას მოკვლა? ვისა და მათი ფეთების ანგელოზებს—სოციალ-დემოკრატებს. ამას ამტკობცეს „ისარი“, თუმცა ხან-და-ხან უკანაც ქე მიაქვს თავისი სიტყვა. ამასვე იმეორებს „ნიშადური“. ეს უკანასკნელი მე-7 ნომერში ვილაცა ქალბატონისა თუ ვაებატონი თავდგირიძის პირით ქვეყანას ამცნობს, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ჩვენს ქვეყანას მოსდებიან „დასელნი“, რომელთაც ხალხს უკარნახეს სულ სხვა ჭირი და სხვასენი“-ო. მერე, ნუ, იტყვიო, ეს სენი, „ხოლერაზე უარესი“, აგიტაციას ეწეოდა თურმე ხალხში, რომ მოზარდ თაობისთვის შეეზიზღებია „ქართველის ძენი უკეთესი“. მერე, როცა „ხალხს ილია შეაძულეს“, რის საწინააღმდეგოთ თურმე კრინტის დაძვრაც კი ვერაფერ გაბედა, „ისა ვქენით, რომ ქართველნი ყველა ერებს ვეჯავრებით“ო.

აი, ფილოსოფია თუ გინდა, ეს არის! ცარიელი თავიდან თუ ასეთი ღრმა აზრი გამოვიდოდა,—მე არ მჯეროდა, მარა ახლა, სხვა გზა არაა, უნდა დავიჯერო.

ქ-ნ თავდგირიძეს და მასთან ერთათ „ნიშადურის“ რედაქტორსაც ის ფაკტი აქვთ სახეში,

რომ განსვენებულ ილიას ეხებოდნენ და წუნს დებდნენ, როგორც მემამულეს, როგორც მებატონეს. მერე და აქ რა არის დასაძახი?!... თუ მართლა ილია ცუდი მებატონე იყო, ვანა არ უნდა შეხებოდნენ მას მისთვის, რომ ის ილია იყო, რომ მწერალი იყო?!.. ეს ხომ სულელური აზრია!.. ავიღოთ მაგალითი: ბ-ნი გუნია არტისტია, სცენაზე თამაშობს, მარა ხან-და-ხან ვერ ასრულებს კაჭათ თავის როლს. მაშ ალარც იმის თამაშობას უნდა შეეხოს კრიტიკოსი ცუდი მხრით, თვარა მას ხალხი შეიძულვებს, ამას შეიძლება უბედური შემთხვევაც მოყვეს და სხვა-და-სხვა. ასეთი მსჯელობა ხომ აბსურდია, სხვა არაფერი.

ვინც ილია მოკლა, ის მხეცია, ის საზიზღარია, იმას პარტიასთან და მოძრაობასთან რა საქმე უნდა ქონდეს, ის ჩვეულებრივი ავაზაკია, მარა ის ვაჭატონებიც არ არიან კარგი ვინმეგბა, რომლებიც ფარისევლურათ მოთქვამენ და ბლავიან ილიას სიკვდილს და მით დათვურ სამსახურს უწევენ მის ხსოვნას. მარა ამაზე ლაპარაკი კმარა და ახლა თვალი გადავაგლოთ არჩევნებსაც.

დედა, რა ყოფილა აი თფილის ქალაქი!.. მე რომ ლენერალ-ლუბერნატორა ვიყო, მთელ თფილისის არხანგელში გადავასახლებდი ისე, რომ უკანაც არ მოვახედებდი. ახლა, რაღა დევიჯერო, ბატონო, რომ მთელ თფილისს ქალაქში ყველა სოციალდემოკრატი იყოს!.. აბა რაა აგი, რომ ამ ოჯახქორებმა „ვიბორშიკებათ“ სოციალდემოკრატები გეიყვანეს ყველა!.. აქანაი უშუოთ არ ყოფილა არავინ არც ბურჟუა და არც ფედერალისტი, თვარა ამისთანა საჯაყი საქმე რაღა მოუვიდოდათ!..

საჯაყი არა და, უარესიც მოსვლიათ, ბიძია-შვილობამ, ქუთათურებს!.. იქინეც სულ ყველაი წამხთარა, ბატონო, ამ ჩვენი გამაკეთებელი მთავრობის ხელში!.. იქანაც სულ სოციალდემოკრატები აურჩევიათ. რაღა, რაცხა სამი ივნისის კანონიო და იგი ამეიყვანს წროულს შარშანდელი სირცხვილიდან და თავსლათის დასხმიდან თავად-აზნა ურობას და ბურჟუაზიასო,—ტრახახობდენ ზოგიერთი ნასწავლები, მარა, ვხედავ, აგიც ცოცხალი ტყუილი გამოდგა ჯერ-ჯერობით და აწი რა ვიცი, რა იქნება.

მარა არც ისე გლახათაა მართლა საქმე, ზოგიერთებს რომ უნდათ. ფოთში ძალიან გაათახულან აი ჩვენი ნაქები სოციალდემოკრატები. ან კი რა გასაკვირალია აგი!.. რაღა, ფოთში ნიკოლაძე არაა

ქალაქის თავათ? იგი, ბიძია, იმისთანა ქვეიანი და მოქახრაკებული კაცი ყოფილა თურმე, რომ პეტრებურხშიაც რომ იყოს ქალაქის თავათ, იქინეც ბუქნას აქნევენებს ყველას, თვარა ამ წუმპეიან ბაყაყეთში ვინ დოუმაგრდებოდა მას!.. ის ხომ, რასაკვირველია, ერთხმათ აურჩევიათ და აურჩევიათ, მარა მასთან ერთათ ვინცხა იონაი მეუნაგრეაც აურჩევიათ. მე არ ვიცნობ, რა კაცია, მარა ყური მოვკარი ლაპარაკს, რომ ის ნიკოლაძის „დოვესკა“ არისო.

ამასთანა კი კაცების არჩევას თურმე დიდი სიხარულით მიეგება მთელი ფოთი. დღეს ვინც დაყავილარები იმასაც კი მასხრობდენ, რომ ფოთის ბაყაყებიც შეინძრენ ტლაპოში და ახალ არჩეულების პატივისცემათ დადგეს აკაკის დაწერილი ოპერა:

„ვიუიუიუი, დაღო ნიკო,
ვაყავაყავ, იახაია!“

ოზურგეთშიაც დიდი მარცხი მოსვლიათ სოციალ-დემოკრატებს, მარა ეს ასეც უნდა მომხთარიყო, თუ სადმე სამართალია. აი ჩვენი ნიკოკიე, აი დიდი ახმახი აზნოურშვილი, ტყუილათ კი არაა იქინეი „მიროგოი პოსრედნიკათ“. მართალია ამ ხელობის მას არაფერი გაეგება, იმდენი მეც ქევიცი, ვეყო, მარა მიეთ-მოეთობაში, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, და, თუ გინდა, ჯაშუშობაში, ახლა რომ ლაპარაკობენ, ერთი კაცი ხელს ვერ დოუკრავს სწორეთ. მარჯვე კაცია საშინელი და საცთელს ხომ არ მიაკლებდა, შენც კი იცი. დაფაცურდა, დატრიალდა აი უშველებელი ყაძახი, აგი ჩაასმინა მთავრობას, იგი ჩაასმინა, აგი დაკარქა, იგი გადაასახლა და, როგორც იყო, გაწმინდა მთელი ოზურგეთი. ახლა მარტოც ხომ არაა, მიმხმარეც ბევრი ყავს: დავით მღვდელი გინდა, დიმიტრაი, კოწიეი, ვანო იაგორიჩი თუ სხვები კიდევ,—სულ ყველაი გადაკაპიწებულია ამ საქმეზე.

ნიკოკიე, მე კი რა მენადღვლება, მარა კი მოლაპარაკე კია. იმის რეჩებიზა ვისაც უყურებია, დარწმუნებული ვარ ისე გაყეყრდებოდა, რომ პირჯვარსაც კი დაიწერდა. რუსული, მგონია, უნდა ეშლებოდეს, რაცხა ისე წაუჩქორთულებს ხშირათ, მარა ქართულში კი ამ ჩვენს პატარა უეწდაში ვერავინ გამოენიძლავება. ტრახახობა კი იცის ნამეტარი, მარა, რა ვუყოთ, ყველაფრამდი სრული ღმერთიც არააო,—გამიგონია. ასეა თუ ისეა, თავის საქმე ქე წეიყვანა კარგათ ამ უსწავლეღმა კაცმა და სხვაი რა უნდა. რაც გინდა იგი დაუძახე, გინ-



და ხულიგანი და გინდა წიპონი, მარა ამ გაქი-
რებულ კაცებსაც რომ კი ემხრება!.. ორას-სამას
მანათს თუ დაუკარქლავ, — ციმბირიდანაც კი მოა-
ბრუნებს გაგზავნილ კაცს, იმდენი გამავლობა აქვს
მთავრობასთან...

და რაი მერე, ამისთანა კაცის კანდიდატი რომ
აირჩიეს „ვიბორშჩიკათ“! ვასილაიც არაა ისე ძაბუ-
ნი ყაძახი, რომ დასაწუნი იყოს...

რალა ბევრი გავაგძელო სიტყვა, ნიკოკივი
ახლა ყველას მოსწონს; ქალებს რაცხა ლექსიც კი
გამოუთქვამენ იმიზა და საყურებლათ მადლია, გი-
ტარაზე რომ დაამღერებენ:

„აბა ნიკო, ჩვენო ნიკო,
შენ ზღუტო და რაზბონიკო,
განდაფხაძემ რამ გავლახა,
მეგვიყვება, რაგონ იყო!...“

ბელასინი.

წროვინცია

სოფ. ბელაგორი. არ იქნა და ვერ დაახწია
ხალხმა თავი იმ უსინდისო საქციელს, რომელსაც
იჩენენ აქაური ნაძირალები — იაკ. ტ—ტ—ძე, ალ.
მ—ჯ—ძე, სან. ტ—ტ—ძე, დავ. ხ—ბ—ძე, მელ.
ტ—ტ—ძე, და აკ. დ—კ—ძე. სწორეთ ესენი მო-
ველინენ ბელაგორის საზოგადოებას ნამდვილ ამ-
წიოკებლათ. თუ ვხმე ამ საზოგადოებაში და ან
მის მახლობელ სოფლებში მიახელებენ იმისთანა
პირებს, რომელთაც რაიმე მონაწილეობა აქვთ გან-
მათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინვე მიიჭ-
რებიან ადგილობრივ ბოქაულთან და ურპორტე-
ბენ: „ამა და ამ პირს იარაღი აქვს და არიქა გა-
ბაწრეთო“. რასაკვირველია ამას მოყვება ჩხრეკა,
ცემა-ტყევა და, თუნდაც არაფერი უპოვონ, (და
არც არასოდეს უპოვნიათ) გაბაწვრა და მახარაძეს-
თან წათრევა. შემდეგში რა მოელის ამ პირებს, ეს
ყველასათვის ცხადია და ჩემი განმარტება საქირო
აღარ არის.

არა ნაკლებ საკვირველ-მოქმედებას იჩენს
ცნობილი „ნაბლიუდატელი“ მამა დეკანოზი რომან.
დ—კ—ძე, რომელიც იმისთანა მასწავლებელს ეძებს
თავის სკოლისთვის, რომელსაც „კრამოლნიკობისა“

არაფერი გაეგებოდეს, არ ეხას მარჯვენა ხელი,
რომ „ნაბლიუდატელის“ „საქმენი საგმირონი“ არ
აწეროს, არ ეხას ფეხები, რომ სადგურზე არ წა-
ვიდეს და იქ „კრამოლობას“ არ დაეჩვიოს და სხვა.
ამ ჟამათ მასწავლებლის აკგილი დაცლილია, რა-
დგანაც შესაფერი ვერ იშოვა.

თედორიას შვილი.

მუშათა შორის

ერთ ერთ სტამბის მუშები ქ. თფილისში ძალიან
გაცხარებული არიან:

- 1) რათ თხოულობენ ქალები თანასწორ უფ-
ლებას, როგორც კაცები?
 - 2) როცა ქალებს დასცინიან, უკანასკნელნი
რათ იღებენ ხმას და რათ აძლევენ მაგიერ პა-
სუხს?
 - 3) უცხო ვაჟებს რათ ელაპარაკებიან?
 - 4) რატომ ბევრი „შლიაპები“ არ დააქვთ
თან, რომ ჩქარ-ჩქარა ამოუსვარონ სტამბის კრას-
კაში და მით ზარალი მიაყენონ.
- იმავე სტამბის პატრონი და მისი მუშები აც-
ხადებენ, რომ ის სამი ქალი, რომლებიც მასთან
მუშაობენ არ კმარა მათ გასართობათ და დასაცი-
ნათ და, თუ არიან კიდევ უფრო ამათზე ლამაზი
ქალები, მოვიდენ სამუშაოთ. განსაკუთრებით თვი-
თონ ხაზინს ისეთი ქალები უნდა, რომლებიც
არაერთარ მუშაობას და სწავლას არ მოითხოვენ,
მხოლოდ მის წინ ისხდენ კანტორაში, რომ მან
უყუროს, ემასხაროს და დასტკბეს.

ამ „პრეტენზიას“ ხელს აწერენ ვანო, გიორ-
გი, ბესო, სერგო და ხაზინი.

აბა „იდეალური“ სტამბაც სწორეთ ეს ყო-
ფილა და მე მგონია, რომ ამას განმარტება აღარ
სჭირია.


პეტრე.

„ნაჩალნიკის“ ვიზიტაზია.

ბუერს ვნეშე, ბუერიც დავხრცე,
ბუერს ცხრა შთა გადავტარე,
თავისუფლებს ჟვანს ვანცი,
დავმარხე, დავასამარე;
გურთა გავაზარტახე,
ავიკულ, გავანადგურე;

მაგრამ წამიხდა სურვილი,
დიდხანს ვერ დავისადგურე.
ვტარტვე და ვგლიჯე ქვეყანა,
ურიცხვი ქრთამი ავიდე,
ამდენი საქმის მომქმედმა
„გიჟის“ სახელი წავიდე.

ტორლოა.



შენს სურათს ვუცქერ მუხლმოდრეკილი,
დიდო მკაცხნო, ჩვენო ილია!..
შენი ამბებით ვამსუბ „ნიშნულს“,
შენი ხსენება ერთობ ტკბილია...
შენ რომ გეტოცხლავ, — ამ ჩემ „ნიშნულს“
მასალაც სულაც არ ექნებოდა,
შე, ჩემ ამხანაგს და თანამშრომლებს,
სწორეთ შავი დღე დაგვადგებოდა!..

მადლი შენს გამჩენს, დიდა მკაცხნო!
კვალად შენ გვედრი მუხლმოდრეკილი:
ნუ გამოუღევ ვურნადს მასალას,
თორემ ჩვენც მოგვსწობს შენებრ სიკვდილი!..
თუმც ჩემს ამხანაგს ფერი ეკარგვის:
„ჩოტკა“ მოუთხრობს საგრძნობ ზარადსა,
მაგრამ ნუ იწუხ იმის სირეგვანს,
სიბრძევით მოხდის, რომ შენ გდებს ბრადსა...

ქატხაზანა და სოვაჟ ქარაპეზა. *)

(ნამდვილი ამბავი).

I.

ეს ის დრო იყო, როდესაც შემოდგომის გრილ-მა ნიავმა დაბერა და ქვეყანას მოფინა ტკბილი ნაყოფი თავისუფლებისა. ეს ის დრო იყო, როდესაც ყველა—დიდი და პატარა სადღესასწაულო მეჯლისში ჩაბმულიყო და საერთო ფერხულში ფეხებს და ხელებს აყოლებდა. დიახ, ამ დიდებულმა დრომ

ეგება ბოლოს ცხოვრებაში გარიყული არ დარჩენილიყვენ და სრულიად არ აღგვალიყვენ დედა-მიწის პირიდან.

მე მახსოვს, როდესაც სხვა-და-სხვა ჯურის მუქთა ყლაპიებთან ერთათ, რომელნიც თავისუფლებს სხივებს თითქოს შეხაროდენ, ამოძრავდენ ქურდ-ბაცაცებიც და თვით ჯიბის ოსტატებმაც, ანუ ჯაბგირეზმაც ხმა ამოიღეს და მოითხოვეს „ზოლიტიკური თავისუფლება.“ ადგენდენ მიტინგებს და რეზოლიუცია რეზოლიუციაზე გამოქონდათ: „ვიღებთ



ყველა ნაძირალები და ქვეყნის მეტორცინი შეაფიქრანა და მათაც მაიმუნისამებრ დაუწყეს მიბაძვა თავ-განწირულ მუშაკთ, რომელთაც პირველათ დანერგეს თავისუფლების ფესვები და მათმა ნაშრომმა ნაყოფი გამოიღო. ტკბილმა ნაყოფმა აუშალა მადა ყველა მუქთა ხორებს და მათაც მოისურვეს ამოდგომოდენ მუშაკთ მხარში, რომ

რა მხედველობაში, რომ ჩვენ სხვისი ოფლითა ვცხოვრობთ და მხოლოთ ქურდობით ვირჩენთ თავს, ვგმობთ ამ ჩვენს ხელაბას და ვადგენთ: თვითეულმა ჩვენთავანმა საქმეს მოკიდოს ხელი და თავის შრომით იცხოვროს. მაშ, გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს პატოსან შრომას! ძირს ჯიბგირობა! ძირს ქურდობა! და სხვა. აი მათი ლოზუნგები.

*) „სოვაჟ“ სომხური სიტყვაა და ნიშნავს მშვიდს.

სწორეთ ამ სადღესასწაულო, საზოგადო აღტა-



ცებისა და ამალღების დღეებში შეხვდა ერთმანეთს ორრ. უსაქმოთ მოხეტიალე და სხვისი შრომით ვალღებული მეგობარი ქაცხამანა და კარაპეტა და ძმა ბიჭური სალამის შემდეგ გააბეს გძელი საუბარი.

— ქაცხამან, კაცო, ე რა დრო დადგა და!.. დღეს ერთი კაპეიკი არ მიშოვნია, უველა ქუჩები დრუჟინიკებით სავსეა და, თუ ხელა გავანძრიე, შენი მტერია, ნახალოვკაში მიკვრენ თავს და მშვიდობით, ჩემო ქაცხამან.. მგონი საიქიოც კი დაშავიწყონ!

— ეჰ, ნეტა შენ, კაცო! რა დროს საიქიოზე ფიქრია? შე ოხერო, ორი დღეა პური არ მიქამია, ღამის არის შიმშილით გლახაობა დაეიწყო.

— შე ოხერო, მერე ვინ გაგიკითხავს? გეტყვიან: „წადი, თვალი მოითხარე, იმუშავე და პური შენი ოფლითა ქამეო!“ ის კი არ ციან, რომ სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფის დროს სულ ქირის ოფლში ვიწუტრებით, რომ არ გაიგონ და ჩვენი ბეჭები რუსის ბარაბანივით არ აგვიჭრელონ.

— ასეა თუ ისე, ჩემო მეგობარო ქაცხამან, მოდი, წავიდეთ ნახალოვკაში და რამე ადგილი ვითხოვოთ, რომ შიმშილით სული არ ამოგვძრეს.

— წავიდეთ, ძმ-ო, რაც მოგვიკა, მოგვივა!.. თუ, კი ჩვენ ხელობაზე ხელი აგვადებინეს, სამაგიეროთ სხვა ხელობა გვასწავლონ და ლუკმა პური გვიშოვონ, თორემ სუფ-სარქისის მადლმა ისევ ჯიბეგრობას დაეიწყობ და მერე რაც უნდა, ის მიყონ!

— კარგი ერთი, მამა გიცხონდა და! აა წავიდეთ და რამეს გვეტყვიან. როგორც დაგვარიგონ, ჩვენც ისე მოვიქცეთ!

— მაშ წავიდეთ!

— წავიდეთ, ჩემო მშიერ-კარაპეტ!

II

ის იყო, მზე იწურებოდა, რომ ჩვენი ნაცნობი ქაცხამანა და მშიერ-კარაპეტა ნახალოვკას მიადგნენ და აირიენ ხალხში, რომლის შუაგ მადლობზე შემდგარი ორატორი საერთო სიწყნარეს არღვევდა და მისი მძლავრი ხმა მეხივით გაისმოდა მის გარშემო. მშიერ-კარაპეტამ წაკრა მუჯღუგუნი ქაცხამანას და წყნარათ წაუჩურჩულა:

— ქაცხამან, წადი რაღა და უთხარი აი იმ კაცს, მადლობზე რომ დგას და ლაპარაკობს, რისთვისაც მოვედით, უთხარი—ასეა და ასე ჩვენი საქ-

მე და უნდა სამუშაო გვიშოვო-თქო, თორემ-სუფ-კარაპეტის მადლმა ისევ ჯიბეგრობას ვიზამ თქო.

— თავში ქვა შენც გიხლია და შენს ჯიბეგრობასაც! წადა და შენ უთხარი, შე ვირსთავო! ვერა ხედავ, როგორ გაცხარებული ლაპარაკობს? სუფ-გეურქის მადლმა ჯერ არც ერთი პრისტავი არ მინახავს ეგრე ცხარეთ მოღაპარაკე!.. კაცო, გეგონება პირიდან ცეცხლსა ჰყრისო! არა, ძმავ, მე ვერ გავბედავ და შენ, როგორც განდა, ისე მოიქეცი.

— მაშ კარგი, ქაცხამანჯან, ჯერ დაჩუმდეს და მერე მოველაპარაკოთ.

შემდეგ კიდევ გაიწიეს წინ და რამდენიმე წამის შემდეგ სწორეთ ორატორის წინ გამოიქიმენ.

— ქაცხამან, აბა უყურე რა საათები ჰკიდიათ ზოგიერთებს!.. რასაკვირველია, ჯიბეგრობა სავსე ექნებათ; მოდი, დღესაც გამოვიყენოთ ჩვენი ხელობა და მერე მუშაობას შევუდგეთ.

— არა, კარაპეტჯან! მე კი ვეღარ გავბედავ და შენი კი არ ვიცი. იცი, რა ხალხი ყოფილა ეს სოციალისტები? აი, მახათის გორაზე აგვეყრიან და იქ ერთი „ხალხის“ მოცემით გავვათავებენ! ჩვენი არისტოკრატებრვით კი შუაზე არ გავგეყოფენ!

სოციალისტების ხსენებაზე, ცოტა არ იყოს, კარაპეტა შეიქმუხნა და შიშის ხაფრამ გადაკრა, მაგრამ ბრჭყევილა საათებისა და ძეწკეების დანახვაზე თვალებიდან სისხლის ცრემლები სდიოდა.

— ეხ, ქაცხამანჯან, თუმცა პირში წყალი მომდის, მაგრამ რა გაცყობა, უნდა მოვითმინო, მეტი გზა არ არის!.. ახ! სადა ხარ, შე ოხერო ძველო დროვ, რომ ამ პირ-დაღებულ ხალხს, ჯიბე დაღებულს და დეცარიელებულს არ გავუშვებთ!..

— აბა რას როტავ, შე ტიალ-მუდრევაო?! ნუ თუ ის აღარ გახსოვს, რომ გუშინ წინ საწყალ „ჯიბეგირ ქლესას“ პირზე კუპრი წაუღვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს? ჰა! შენც ხომ არ მოგინდა ვირზე პირ-უკუღმა შეჯდომა, კუდის ხელში დაქერა, გამურული სახით, და ქუჩა-ქუჩა ორთაქალის ვირავით ღრიალი; „ჯიბეგირი ვარ, ჯიბეგირი ვარო!..

— ეჰ, რა გეწყობა ქაცხამანჯან! მაშ მოვითმინოთ, მაგრამ ეს ოხერი მუცელი, რომ სულ ემესა შვრება? კაცო, ღმერთი არ არის, ვა! ორი დღეა ნაწილი არ ჩასულა შიგ!

— ხო გაგიგონია, შე ვირო: „მოთმინებითა შენითაო, თავფლს ვაღოკავ ენითაო?“ ისე იცოცხლა მშიერ-კარაპეტამ, რომ ხვალ ორთაქალის ბაღ-

ში ქანარს ექვერდებ და იარბუკაში გირვანქას ორ აბაზათა ვყიდდებ!

— ახმახ, ქაცხამან, ახმახ! მერე და შე ოხერო, თევზის დასაქერათ ზადე არ გინდა? ბადეს ვილა მოგაქვავებს?! ვთქვათ, ბადეც იშოვებ, მერე და თევზის ჭერა ალა-ალა ხომ არა გგონია, რომ სულ ფუთობით გამაიყვანო? ერთაც ვნახოთ, გაწყრა ღმერთი, გისხლტა ფეხი და ჩემმა ქაცხამანამ მტკვარში ზღარტალი გაადინა და ერთი სამი დღის უკან ბაქოს ზღვაში ამოყო თავი, მერე? მერე ხომ ვეღარც სოციალისტები და ვეღარც თელეთი და შვენაბადაც ვეღარ გიშველიან. ახმახ, ქაცხამან, ახმახ!

ქაცხამანას მშიერ-კარაპეტას სიტყვები, ცოტა არ იყოს, ქუკუაში დაუჯდა და ისევ სულ განაბული ყურს უღვდებდა მაღლობზე მდგომ ორატორს.

აი მიწყდა მისი ხმა და ხალხიც დაიშალა. ორატორიც ჩამოვიდა მაღლობიდან და ხალხს შეერია. ქაცხამანა და მშიერ-კარაპეტა ფეხ დე-ფეხ მისდევდნენ, რომ თელიდან არ დაკარგოდნათ და თავისი ჭირ-ვარაში გაეზიარებიათ მისთვის.

ბოლოს, როგორც იყო, მიუახლოვდნენ და გაუბედავით დაუძახეს:

— ამხანაგო-ჯან!..

ორატორმა მოიხედა და, რა დაინახა განიერ შარვლებიანი და ქუდ გვერდზე მოქცეული ქაცხამანა და მშიერ-კარაპეტა, გაეღიმა და კითხა:

— რა გინდათ?

— შენი სიცოცხლე, ამხანაგო ჯან, დაიწყო ქაცხამანამ, სხვა რა უნდა გვინდოდეს, გენაცვალეთ სულის კლიტეში!.. აი მე და ჩემი ამხანაგი მშიერ-კარაპეტა გეხვეწებით, რომ სადმე ერთი ადგილი გვიშოვნო და ალალი ლუკმა ვკამოთ. ჩვენც მოგვებურდა ჩვენი ხელობა და ამის მოდნაც გადავარდა.

— რა ხელობისა ხართ? კითხა ორატორმა.

— მე სოფელგარი გახლავარ, მიუგო ქაცხამანამ და ეს კი გემების პატრონია! განა არ გვატყობ, რა ხელობისა უნდა ვიყოთ? ჯიბგირები ვართ... ფითქმის ჩურჩულით და შიშით მიუგო ქაცხამანამ.

— ჰოო! და მერე რა გინდათ?

— ადგილი გვინდა, შენი ქირიმე, მუშაობა, ალალი ლუკმის ქამა და პატოსნათ ცხოვრება.

— მერე და ვინ გაშლით? შეეკითხა ორატორი.

ვინა და ჩვენი ჯიბე, ამხანაგო-ჯან! ერთი გახვრეტული გრომიც კი არ გვაქვავია.

— მაშ კარგი, აი ეხლა მე ერთ ხუთ მანეთ მოგცემთ და წადით, რამე იყიდეთ ამ ფულით მწვანილი, ხილი, რა ვიცი კიდევ რა და, დაიწყეთ ვაჭრობა, რაც მოიგოთ ძმურათ შვანზე გაიყავით და ეცადეთ, რომ არც ერთი თქვენგანი არ დარჩეს არც უშრომით და არც უფასოთ.

ამოიღო ორატორმა ოქროს ხუთ მანეთიანი და გადასცა ქაცხამანას. ქაცხამანამ მაშინვე ჯიბეში იკრა ოქრო და მშიერ-კარაპეტას თვალი უყო; ორივემ დაბლათ თავი დაუკრეს ორატორს და გასწიეს თავის ბინისაკენ.

III

ის იყო, ცაზე ტრედის ფრათ ჩნათლა, რომ ქაცხამანა და მშიერი კარაპეტა მიაღდენ ერთ დუქანს, სადაც იმათი მეკობარი ქაქია სცხოვრობდა და აკეტლ კარებს მაგრათ დაუწყეს ბრახუნი. ქიქიის ბრახუნზე გამოღვდიბა და თვლების ფშვენტით გამოჩხვდა დუქნიდან.

— კაცო, ამ დილა აღრიან და გაუთენებლივ რამ მოგახეტათ, თქვე ოჯახქორებო?!

— უნდა შენი ვირი და ტაჩკა მოგვაქარაო, ქაქიაჯან! ერთი ხუთი მანეთი მოგცეს წუხელის სოციალისტებმა, ამითი დღეს მწვანილეულობას ვიყიდით ზაყალხანაში და, ქრისტეს მაღლმა, რასაც მოვიგებთ სამ ნაწილათ გავყოფთ: ორი ნაწილი ჩვენ და ერთი ნაწილიც შენს ვირსა, იმიტომ რომ დღეს იგეც ჯაფაში იქნება, და ყველას თავის შესაფერი ქირა უნდა მიეცეს.

ქიქიამ აღარ აყოვნა, შეუბა ვირი ტაჩკაში და გამოაყოლა ქაცხამანას და მშიერ-კარაპეტას. ორივე ძმა ბიჭი ჩასხდნენ ტაჩკაში და გამოსწიეს ზაყალხანისაკენ. აქ დაათვლიერეს მწვანილეულობა და ხილეულობა და, რაც კი მოუვიდათ ხუთ მანეთათ, ყველაფერი იყიდეს. ნახევარი საათის შემდეგ, როცა მზემ ამოაშუქა და თავისი სხივები აქეთ-იქით მოფანტა, ჩვენი ნაცნობები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ ტაჩკით და, რაც ძალი და ღონე ქონდათ, გაჰკიოდნენ.

— ქინძა, პიტნა, კამა, ტალხუნა, მარკოვი, მწვანე ლობიო, ქარხალი, კომბოსტო! იფ! იფ! იფ! იფ! იაფათ და პირიანათ.

საღამოს თითქმის ყველაფერი გაყიდული ქონდათ და ერთ ბიყრუბულ ქუჩის კუთხეში თავის დახლის ანგარიშს შეუდგნენ. აღმოჩნდა, რომ ხუთ



ანეთს სამი მანეთი სხვა მოეგო, რაც გაინაწილეს იდეც: მანეთი ქაცხამანას ერგო, მანეთი მშიერ-არაპეტას და მანეთიც ვირს. მაგრამ ქაცხამანას უღმა აღარ მოუთმინა, რომ ვირიც მათთან თასწორათ იღებდა და კარაპეტას მუჯღლუფუნე წა-რა.

— კარაპეტ, მოდი კარტი ვითამაშოთ და ვინც ლალათ მოიგოს, ფულიც იმას დარჩეს. ვინც ჩვენ-ში იყალობოს, სუფსარქისი გაუწყურეს!

— შე მუღრეგო, ვირმა კარტის თამაში რა უცის, რომ გეთამაშოს?!

— განა ვერ ვასწავლით? ვირის ქალაღი ხან მენ გაშალე და ხან მე გაეშლი.

— მაშ კარგი და ჯერ ფული გავინაწილოთ. მოდი, ვირი ტაჩკიდან გამოვუშვათ, წინ მანეთიანი დაუდლოთ და ისე ვეთამაშოთ.

გამოუშვეს ვირი ტაჩკიდან. ქაცხამანამ ამოი-ღო ჯიბიდან ბანქოს ქალაღდები არივ-დარია და გაჩაღდა „ცხრის“ თამაში.

საქმე იქამდის მივიდა, რომ ვირი თითქმის უგებდა და ქაცხამანა და კარაპეტა სიბრაზისაგან ქალაღდებსა კმუჭნიდენ. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა ქაცხამანამ კარაპეტას თვალი უყო და ანიშნა ქალაღდი ოსტატურათ დაეწყო, რომ ვირს უღლ ბითურები გამოსვლოდა.

კარაპეტა თუმცა, ცოტა არ იყოს შეიკუხნა, მაგრამ ფულის სიხარბემ წასძლია და ქალაღდი ეშ-მაკურათ დააწყო. ცოტა ხნის შემდეგ ვირს თავის მანეთიც მოუგეს და წაგებული ფულიც უკან დაიბრუნეს.

IV

ბინდ ბუნდი იყო, რომ ქაცხამანა და მშიერ კარაპეტა ისევ ქიქიას დუქანს მიადგენ. ქიქიამ აღარ აყოვნა, გამოუშვა ვირი ტაჩკიდან და ვირის წი-ლი მოგება მოითხოვა.

— სუფ-სარქისის მადლმა, ქიქიაჯან, შენმა ვირმა თავის მანეთი „ცხრაში“ წააგო, ეფიცებოდა ქაცხამანა.

— ვა! როგორ თუ ცხრაში? განა ვირს კარ-ტის თამაშობა შეუძლია? თქვენ კუაზე თხლათ ხომ არა ხართ!!

— შენი ვირის მაგივრათ მშიერ კარაპეტა ხსნიდა ქალაღდს და, შენმა მზემაც და ჩემმა მზე-მაც, თავისი მანეთი ვირმა ჩვენთან წააგო: თოთხმე-ტი შაურა მე მოვუგე და ექვსი შაური კარაპეტამ.

— კაცო, როგორ თუ მოუგეთ, თქვემართლა

ვირებო! ვირის კარტის თამაში ვის გაუგონია? ევე! ოხრებო!..

— თუ კი ის გაუგონია, მიუგო მშიერ-კარა-პეტამ, რომ აღამიანთან ერთათ ვირმაც სამუშაოს ფასი აიღოს, და შემდეგ კარტში ჩვენ მოგვიგოს, განა ის კი არ გაგონილა, რომ თავისი წილი წა-აგოს? ესეა, ძმაო, და რაც გინდა, ისა ქენი. გინდ პოლიციაში გვიჩივლე. ჩვენ გვითხრეს: შრომაც გაინაწილეთ, ფასიც გაინაწილეთ და ძმურათ იც-ხოვრეთო. ის ხომ არ უთქვამთ, რომ კარტს ნუ ითამაშებთ და ნუ წააგებთო. მოგება და წაგება ძმე? ი რომ არიან,—განა შენ არ იცი?

ქიქია თუმცა ბევრს სცთილობდა როგორმე თავისი ვირის ქირა გამოკრთმია მათთვის, მაგრამ ყოველ გვარმა ცთამ უნაყოფოთ ჩაუარა.

იმ საღაშოს ჩვენი ქაცხამანა და მშიერ-კარაპე-ტა ერთ ერთ განაპირა ტრახტირში არღნითა ქე-იფობდენ და ვირისაგან მოგებულ მანეთით ცხელ-ცხელ ბადრიჯნით წვადებს მიირთმევდენ.

ფრანცა.

რ უ ს ე თ ი

— გაზეთი „რუსკოე ზნამია“ აცხადებს, რომ მოსკოვის, კიევის, ვორონეის და სხვა გუბერ-ნიების „ქეშმარიტ-ხულიგანებს“ „ვიბორჩიკების“ არ-ჩვენებში მონაწილეობა არ მიუღიათ და ბოიკოტით მეგებებიან იმ მოსაზრებით, რომ სამი იენისის კანონით შემარჯვენების გამარჯვება შეუძლებელია და მა-თი მხრით უაზრობა იქნებოდა მონაწილეობის მიღება, მით უმეტეს, რომ მუშების ამომრჩეველთა რიცხვმა საგრძნობლათ იმატა მ იენისის კანონის ძლით და მათი კი შეამოკლა.

„მოსკოვსკი ვეხომოსტის“ რედაქციას დებეშით უცნობებია პობედონოსცევისთვის გრინგმუტის სი-კვდილი და სთხოვს, რომ თავისი ამალით ჯოჯოხეთის სადგურზე გამოეგებოს.

„ვეჩეს“ სიტყვით ამ დღეებში პურიშკევიჩი და კრუშევანი გამოაცხადებენ ამნისტიას იმ პირთა შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ოდე-სის და სხვა ქალაქების პოგრომებში და რამდენიმე ბავში წუთის სოფელს გამოასალმეს.

ს ი მ ლ მ რ ა .

მე ვერ წავალ ოზურგეთს,
იქ იციან დაჭერა...
მათნახს გირტყემენ ცხვირ-შიში.
თქ, არ ძალ-შიძს აწერა!..

* * *
ფუღს მოკთხევენ გასაშვებს,
თუ არ გინდა დაკარგვა...
განა ამას არა ჯობს
თავის ნებთ საბრჯვა?..

ფანდი.



ბ ე ნ ი ა და ბ ე შ ტ ი ა .

ბენია. ძლივს, ძლივს შელირსა შენი ნახვა, ჩემო ბეშტია! აგერ სამ თვეზე მეტი იქნება ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ და აღარ გვიბაასნია ქვეყნის წაღმა-უკუღმა ტრიალზე. სად იყავი, მეგობარო, ავით ხომ არ ყოფილხარ?

ბეშტია. ეეჰ, ჩემო ძვირფასო, ავით არ ვყოფილვარ, მარა არც კაი საქმე მჭირებია!.. სულ განადგურეს აი ჩვენი იმერეთი იმ ოჯახდაქცეულებმა!.. გურია ხომ, საწყალი გურია, სულ ნაცარტუტათ აქციეს... ამის მნახველს და მაყურებელს გულზე ბოღმა შემომაწვა და ქე ვიჯექი სულ სახლში. ახლა, ცოტა გულზე მომეშვა, და შენკენ გამოვეშურე, ჩემო ბენია, თქვენკენ მომხთარი არჩევნების ამბების გასაგებათ.

ბენია. შენ უთუოდ ხულიგნების არჩევნების საქმე უფრო გაინტერესებს, სხვა თვითონაც გე-

კოლინება, და ამას ვაგაცნობ.

ბეშტია. მეც სწორეთ თავის კითხვა მინდა და.

ბენია. ხულიგნების (თავისთავს ისინი რუწა-ნაცონალისტებათ უწოდებენ) ისტორია თავიდან შენც გეცოდინება. იმათი თხოვნით მთავრობა კანონ-კანონი გამოაშუშა, რომელსაც სამი ივნისი კანონს ეძახიან. ამ კანონის ძალით შარშანდელ არჩევნების კანონი თავ-უკუღმა შეიცვალა, დაქვდა, დაბრუციანდა, ერთი სიტყვით, დაშინდა.

შარშანდელ კანონშიაც არ იყო სასიკეთო რამ, მაგრამ ამ ბოლოდღელმა ხომ ისიც კი მოგნატრა. მუშებს, გლეხებს, წვრილ მემამულეებს წვრილ ვაჭრებსაც-კი უფლება გაუნახევრეს და მაგიეროთ დიდ ბურჟუებსა და დიდ მემამულეებს გაუფართოვეს. გარდა ამისა, ჩვენში მცხოვრებებს ცალკე არჩევნებისა და ღუმეში საკუთარ დეპუტატის გაგზავნის უფლება მისცეს.



ჩვენებური რუსი ხულიგანები დატრიალდნ და არს შემოიკრიბეს თავისი ძალები. იმათი წარმოგენით ჩვენში ყველა რუსი ხულიგანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმედ-გაუცრუვდათ. ახლა ამ თვის რს ქ. თფილისიდან მარი „ვიბორშჩიკების“ არენები მოხთა, მაგამ ხულიგნებმა ლელო ვერ აიტანეს. საქმე ისე დატრიალდა, რომ საქიროლები ხულიგნებს არ ამოუვიდათ, რადგან ყველა ქაური რუსი, როგორც აღმოჩნდა, ხულიგანი რომ ყოფილა. ხულიგნები არა და, კადეტებიც ბერი ყოფილა, პროგრესისტებიც და, წარზიდვინდეთ, ათზე კიდევ მეტი სოციალდემოკრატები.

ამბობენ, პოლიცია დახმარებია ხულიგნებს ვათაშორის იმითაც კი, რომ სოციალდემოკრატების მომხრე ამრჩევლებისათვის უწყებები, ბიუეტენებს რომ ეძახიან, არ ჩაუბარებია განგებ, რაის, არ მოვიდნ და კენჭი არ ჩაუყარონ მათო. რე თორმეტი კაციც ქე დაიჭირეს თვითონ კრეზე, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმდენი. ხელ-ახანი არჩევნები აღრე მოხდება და რაც გადაწყდება, იმასაც გიამბობ თავის დროზე. სოციალდემოკრატებს თურჲე დიდი ძალა ქონებიათ და, თუ ელა დაესწრო არჩევნებს, ვინ იცის, რა იქნება...

ბეშტია. კაცო, რაფა ლაპარაკობ?! ღმერთი ამ გოუწყურეს ხულიგანებს და სოციალ-დემოკრატებმა აჯობონ რამე სასწაულის ძალით, მაშინ მ თავი მოგვეჭრება საქვეყნით და ივია!.. რაფა, მინ ხულიგნების წარმომადგენელი ხომ სოციალ-დემოკრატი იქნება?

ბენია. რაც იქნება, იქნება, ჩემო ბეშტია, მ გავიგონია რუსთველის ლექსი: „არ საქნელი იქნებისო“ და შენ ახლა, თუ ძმობა გწამს, ის იხარი, თუ ქუთაისის ციხე როგორ დაიძალა ისე, ამ ერთი ტუსალიც აღარ დარჩენილა შიგ?

ბეშტია. არა, დარჩენით რაფა არ დარჩენილი, ქუთაისის ციხეს ასე აღვიღათ რა დასკლის, რა ისე ბევრი გეიბარა კი. ციხის მეკარეებს და ჯდათებს, გოუწყურათ ჩემი წმინდა გიორგის მადლი, რომ არ დაენახათ ფანცხავას სახლიდან, ზედიე გამსვლელები და აფიცერიზა არ შეეცდობიათ, — ყველა უშველებდა თავს.

ბენია. შენთან მუსაიფი თაფლზე უტკბესია ვის მოსწყინდება, ჩემო მეგობარო, მაგრამ ახლროა შევწყვიტოთ და საიმკვირო ამბების კრებას შევეუდგეთ.

ბეშტია. მართალი ბრძანებაა და მშვიდობით

დღეისწორამდის, ჩეო ბენია! შენ ზევიტკენ შეჰყვი და მე კი ქვევიტკენ ჩავიგულავებ.

ანასინი.

სიღნაღელავის სიმღერა *)

შვიდშაბათობით აშენდა
ჩვენი სიღნაღი მთაზედა,
განს გაღავანა არტეა,
ამაყათ დაგვეტქან თავზედა.

დღე და დამ ისმის შხუილი
მდინარე აღაზნებდა,
რამ ნახათ იტყუით — სამთხე
ვიზრეთ ქვეყანაზედა;

მაგრამ ჩვენ შინც გავწევბ
ტიალი ჯავრი ჯავრებდა,
ბუნებით დაჯილდოვებულთ
სხვა ტირი გვადგა კარზედა:

რუს, ქართულ, თათრის შენახვა
ვერანინ იღვა თავზედა, —
ნაქრები იფიცუბიან,
გლეხნი შეგვასხდენ მხარზედა.

ვქექეთ და ვქექეთ რუსეთში
შარტია შარტაზედა
და ვნახეთ, ეგვლა მათგანი
ცუდს ფიქრობს ჩვენს თავზედა.

ბოფოს, რის უოფით, ვიზრეთ
შარტია ქვეყანაზედა, —
ეს განლავთ „დაშნაკციუტუნი“,
უფრო ეჩხადი სხვაზედა.

არ გავს სხვა ჯურის შარტიებს,
მდარის სულ სხვა გვან ჭანგზედა, —
ნაქრების მათხრონილებს
შირ-დამ ავდებს ბანზედა;

ხმის არვის არ აღებიანებს
ბურჲუა საზეინებდა
და, თუ კი ვინემ რამე სთქვა?
ხელს უშვერს მაუხერებდა!..

დღე და დამ ფიქრობს და ფიქრობს
მარტო ჭიანჭინებდა,
ცალ სელში მაუხერი აქვს,
მეორე უდევს ხმაზედა.

*)ეს ლექსი ეხება ძველ დაშნაკციანებს—მიპრანაკანებ-ბად წოდებულს.

ჩვენ ვეკლამ ამას მივმართეთ,
 როგორც რჩეულს სხვაზედა:
 და ნაქრებს ზეტონებო
 გადააფხრიწა თავზედა.

აღებს გვიბრძანა: ნუ ვდარდობთ,
 ცრემლი ნუ მოგვდის თვალებზედა,
 ჩვენ ხატრონობას, ჩვენ დაცვას
 მიიღებს თავის თავზედა.

უმაღლ მივცვივდით ალებო
 ვეკლას ვკოცნიდით თვალებზედა,
 განმართეთ დიდი სადღიო
 „თავგატყეხილას“ წყალებზედა;

თამადათ დავსვით დიდ-ეურს,
 გადადის თასი თასზედა,
 ბუღბუღივ სმენათ გადიქვს
 ჩვენი ურთუინის ხმაზედა:

„დაშნაკისტ დროშა გაშალეს,
 „შეკრბა სიღნაღსა დაშქარი,
 „ქართველთ წყლის კოკა ჭკიდიათ,
 „სომხებს ნისიის დავთარი,
 „რუსი გამობის ბარბანთ
 „ჭაჭის ანაუით დამთვრადი;
 „ხელ სადღელ, ყარდაშ“ — გჭკივივის
 ჩვენი მეჩხუსტე თათარი!..

ბოლქს წამოდგა თამადა,
 უფრო ფხიზელი სხვაზედა,
 ცალ ხელში უანწი ეჭირა,
 მეორე ევლო თასზედა;
 დასვენა თვისნი ბაკენი,
 დაიწყო ამა ხმაზედა:

„წადით, იხარჩეთ, ივაჭრეთ
 თამადათ მთა და ბარზედა!..
 — თითო ჩარქეი მანძარეთ
 შეიდველებს თითო ადლებზედა!
 ვინც გაგებდეთ გალანძღვა, —
 ჩამოაგვივით სარზედა;

— „დაწვევლეთ სოციალიზმი,
 არ დადგეთ იმის გზაზედა,
 სოროში მიამაღენით
 რევოლიუციის ხმაზედა...

— „გავრცელეთ ჭორობო
 რუს, ქართველ, თათარ ფრანგებზედა,
 უთხარით: „სოციალისტებს
 ვეკლავ გაუდგა განზედა.“

— „იწამეთ „დაშნაკიუტუნი“,
 განთქმული ქვეყანაზედა,

დადგანც ის უკეთესია
 ვეკლავ სხვა მარტაზედა!

— ვინც რომ ამისთვის დაგძანხოს, —
 ხელი შეხმეს მკლავზედა,
 ძირს დედამიწა ჩაეგვრეს,
 მზე დაუბნელდეს ცაზედა!“

ასე, ამ გვარათ, დასრულდა
 „დაშნაკიუტუნის“ გმირობა.
 რუს, ქართველ, სომხს, თათარმა
 ერთმანეთს მისცეს შიშობა:

არ უდალატონ მათ დროშას,
 მისცენ ურთიერთს ხელაჲ,
 დადგან ნაქარი და გლეხიც
 ხ.სეინების მტერაჲ.

და თუ კვლავ რამე გაბედეს?
 მხ.თ ქანდესთ მაუხერაჲ!..
 და ჩვენ რას ვიხამთ, როდესაც
 ქვეყანა ასე ჭრელაჲ!..

ონიმიმ.

პითხვა-პასუხი.

ერთმა გლეხმა კითხა სოფლის მასწავლებელს:
 — ბატონო, თქვენ ნასწავლი კაცი ბრძანდებო
 ბით და ერთი ამიხსენით შემდეგი: 60 წლის კაცი
 ვარ და, რაც მახსოვს, ყოველ წლობით ერთი ორათ
 გვახდევინებენ ფოშტის ფულს. ვფიქრობ და ვერ
 გამაგია, რა შენობა უნდა იყოს ისეთი დიდი და
 უხარამზარი, რომ ამდენ ხანს ვერ ააშენეს და ამ-
 დენი ზღვა ფული მიაკრეს ზედ.

— ამ ფულით, ჩემო კარგო, ფოსტის შენობას
 როდი აშენებენ, ის მინისტრის უძირო ჯიბეში
 მიღის, — უპასუხა მასწავლებელმა.

— ჰო, ახლა კი მივხვდი, თუ რათ არ ეღებო
 ბოლო ამ გადასახადებს, ჩაილაპარაკა გოცხმა.

მელიტონ.



კადეტები დამარცხდენ,
 რად გასაკვირიას..
 დაღურშილი კარბიან,
 დაუშვიან ცხვირიას..

რექტორ-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილაძე.